# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 8

ქ. ბათუმი 27 იანვარი 2021 წ.

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი აპარატის უფროსის ჯაბა სურმანიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ეკონომიკა-აუდიტი წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ ქარცივაძის სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

## 1. ხელშეკრულების საგანი:

**1.1.** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს აჭარის ა რ მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული 12 (თორმეტი) ერთეული ავტომობილის ღირებულების აუდიტორული შეფასება (CPV79212000 - აუდიტორული მომსახურება) შემდგომში - „მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებებს გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

**1.2.** შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა განისაზღვრება დანართის (ფასების ცხრილი) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**1.3.** წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

**2.1.** ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

**2.2.** ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

**2.3.** ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**2.4.** ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე თანხის ანაზღაურების გზით.

## 3. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

**3.1.** ხელშეკრულებაში ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებით და ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

ბ) „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

გ) „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
დ) „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
ე) „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

**4.1.** შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად კონტროლს განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
**4.2.** მიმწოდებლის მიერ მოსაწოდებულ ან უკვე მოწოდებულ მომსახურებაზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
**4.3.** მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით;
**4.3.** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

**5.1.** შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს გაწეული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
**5.2. 5.1.** პუნქტში აღნიშნულ პირობებთან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
**5.3.** თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
**5.4.** გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
**5.5.** შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**6.1.** შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
**6.2.** შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.
ბ) შესაბამისი მომსახურების მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.
გ) ხელი შეუწყოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების და პირობების შესრულებაში.
**6.3.** შემყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

**6.4.** მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**6.5.** მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შუალედური/საბოლოო ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

**7.1.** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02%-ის ოდენობით;

**7.2.** საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

**7.3.** იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0,2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

**7.4.** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების, ან არაჯეროვნად შესრულებისას ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

**8.1.** არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

**8.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**8.3.** ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**8.4.** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**8.5.** მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**8.6.** თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მხარე არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, მეორე მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

**8.7.** წინამდებარე ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

**8.8.** წინამდებარე ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**8.9.** ამ მუხლის შესაბამისი პუნქტიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის განზრახვის თაობაზე, მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით, შეწყვეტამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

## 9. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**9.1.** მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
**9.2.** ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდი.

## 10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

**10.1.** მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
**10.2.** ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
**10.3.** მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

**11.1.** შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
**11.2** თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს

## 12. გადასახადები და ბაჟები

**12.1** მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

## 13. შეტყობინებები

**13.1.** ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით ელექტრონულ ფოსტაზე, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
**13.2.** შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 14. სხვა პირობები

**14.1.** მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შეესაბამება მათ მიერ გამოვლენილ ნებას და ნების გამოვლენისას მათზე რაიმე სახის ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ასევე, ადასტურებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას სწორედ აღნიშნული შინაარსით.

**14.2.** ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**14.3.** ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**„შემსყიდველი“**

აჭარის ა რ მთავრობის აპარატი
მის.: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9
ს/კ 245424090
ბანკის დასახელება
სახელმწიფო ხაზინა
აპარატის უფროსი
ჯაბა სურმანიძე

**„მიმწოდებელი“**

შპს „ეკონომიკა-აუდიტი“
მის.: ქ. ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. N56
ს/კ 245425883
სს „ვითიბი ბანკი“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. N GE28VT5500000007473602
დირექტორი მალხაზ ქარცივაძე

---

GOVERNMENT OF AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA

Digitally signed by GOVERNMENT OF AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
Date: 2021.01.27 16:38:47 +04'00'

# ფასების ცხრილი

| N | მოდელი | მარკა | გამოშვების წელი | VIN კოდი | სახ. № | ტექ. პასპორტის № | ძრავის მოცულობა | მომსახურების ღირებულება (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Corolla | TOYOTA | 2007 | JTNBM58E402010315 | XX-016-XG | BV3586743 | ძრავა 1.4 | 50 | |
| 2 | Corolla | TOYOTA | 2007 | JTNBM58E702010325 | YY-775-SS | BV3583775 | ძრავა 1.4 | 50 | |
| 3 | Corolla | TOYOTA | 2009 | JTNBV58E10J064819 | XX-014-XG | BV3582744 | ძრავა 1.6 | 50 | |
| 4 | elantra | HYUNDAI | 2011 | KMHDH41EBCU316224 | LL-362-LC | BV3786333 | ძრავა 1.8 | 50 | |
| 5 | Corolla | TOYOTA | 2009 | JTNBH58E20J000957 | XX-012-XG | BV3580742 | ძრავა 1.4 | 50 | |
| 6 | Corolla | TOYOTA | 2007 | JTNBM58E30J000123 | XX-017-XG | BV3586739 | ძრავა 1.4 | 50 | |
| 7 | grandeur | HYUNDAI | 2011 | KMHFH41HBCA085483 | XX-011-XG | BV3584734 | ძრავა 3.0 | 50 | |
| 8 | elantra | HYUNDAI | 2014 | KMHDG41CAEU282687 | AB-245-BA | AQ0008084 | ძრავა 1.6 | 50 | |
| 9 | elantra | HYUNDAI | 2014 | KMHDG41CAEU282644 | AB-246-BA | AQ0000086 | ძრავა 1.6 | 50 | |
| 10 | elantra | HYUNDAI | 2014 | KMHDG41CAEU282585 | AB-247-BA | AQ0003088 | ძრავა 1.6 | 50 | |
| 11 | elantra | HYUNDAI | 2014 | KMHDG41CAEU282514 | AB-248-BA | AQ0000089 | ძრავა 1.6 | 50 | |
| 12 | santa fe | HYUNDAI | 2012 | KMHSH81GDCU845332 | XV-011-VX | BV2964125 | ძრავა 3.5 | 50 | |
| სულ ჯამი | | | | | | | | **600** | |